



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N060/19<sup>1</sup> გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

*სალომე ჩიკვილაძე (სტუდენტი)*

### ფაქტები

საჩივრის ავტორის პრეტენზიას წარმოადგენდა ადვოკატის მიერ ხელის მოწერა კანონდარღვევით შედგენილ პარტნიორთა კრების ოქმზე და ამის შემდეგ ამ დოკუმენტის წარდგენა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. ადვოკატმა არ გაიზიარა საჩივრის ავტორის პოზიცია და განმარტა, რომ კრების ოქმზე ხელმოწერა და შემდგომში საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მისი წარდგენა წარმოადგენდა კლიენტის დავალებას, რომელსაც ის, როგორც პროფესიონალი ასრულებდა. ადვოკატმა კლიენტს განუმარტა მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები და ის ორიენტირებული იყო კლიენტის მითითების შესრულებაზე.

### პროცესუალური ისტორია

საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე კლიენტის კანონიერი საშუალებებით დაცვის ვალდებულების დარღვევის გამო. კოლეგიის შეფასებით, კლიენტის მითითებით ადვოკატმა დადო კანონსაწინააღმდეგო გარიგება, ხოლო შემდგომ ის წარადგინა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვა უნდა განახორციელოს ყველა შესაძლო კანონიერი საშუალებით და არ უნდა გადაუხვიოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს, თუნდაც კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ. კოლეგიის შეფასებით, კლიენტის მითითების შემთხვევაშიც კი თუ ადვოკატი კანონსაწინააღმდეგო გარიგებაში მიიღებს მონაწილეობას, ამით დაარღვევს კანონიერების პრინციპს.

### სამართლებრივი შეფასება

ადვოკატთა შესახებ კანონის 6.1 მუხლი და აპკ-ის 5-ე მუხლი ადვოკატისთვის კლიენტის ინტერესების დაცვის პროცესში გარკვეულ ჩარჩოს ადგენს (ქცევის ჩარჩოს), რომლის მიხედვითაც, უნდა წარმოადგინოს მან კლიენტის ინტერესები. აღნიშნული მოიცავს კანონის და ეთიკის კოდექსის მოთხოვნების დაცვით წარმომადგენლობას, რაც გულისხმობს, ადვოკატი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს კანონისა და პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნების დაცვით, რაც ნიშნავს იმას, რომ ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვა უნდა განახორციელოს ყველა შესაძლო კანონიერი საშუალებით და არ უნდა გადაუხვიოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს, თუნდაც კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ. პარტნიორთა კრების ოქმზე ხელმოწერა და შემდგომში საჯარო რეესტროს ეროვნულ სააგენტოში მისი წარდგენა იყო კლიენტის დავალება, რომელიც ადვოკატმა შეასრულა. ადვოკატს კლიენტისთვის განმარტებული ჰქონდა მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები და ადვოკატის მოქმედებები ორიენტირებული იყო კლიენტზე და მისი დავალებების შესრულებაზე. ამ საქმეში კომისიამ შეაფასა ადვოკატის ქცევა კანონიერი და ეთიკური საშუალებებით კლიენტის დაცვის ვალდებულების ფარგლებში და განმარტა, რომ ადვოკატის მომსახურება რეგულაციების შესაბამისი იყო.

### დასკვნა

კომისიამ არ დაადგინა ადვოკატის მიერ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 6.1 მუხლისა და აპკ-ის მე-5 მუხლის დარღვევა და ადვოკატს არ დააკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა.

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5fe233d8f3648.pdf/060.19%20gamartleba%2005.10.2020.pdf>